



GEORGIAN FOUNDATION FOR  
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

რუსეთ-უკრაინის ომის მიმოხილვა – მხარეთა სტრატეგიები  
და მოლოდინი

მამუკა ჟვანია

222

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

## ექსპერტის აზრი

მამუკა ჟვანია

რუსეთ-უკრაინის ომის მიმოხილვა – მხარეთა სტრატეგიები  
და მოლოდინი

222

2024



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო  
ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2024 წელი

ISSN 1512-4835

ISBN

საინფორმაციო სივრცესა თუ საზოგადოებაში ხშირად გაისმის არაობი-  
ექტური და დამაბნეველი მოსაზრებები უკრაინაში მიმდინარე ომის თაობაზე,  
რაც ასევე ხელს უწყობს დეზინფორმაციის გავრცელებასაც. ხშირად ამბობენ,  
რომ დასავლეთში დაიღალნენ უკრაინის მხარდაჭერით, მათთვის ხელსაყრელი  
არაა რუსეთის დამარცხება, რომ დასავლეთი ცდილობს უბიძგოს უკრაინას  
მოლაპარაკებებისკენ და ა. შ.

ჩვენი სტატიის მიზანია ომთან დაკავშირებული მოვლენების აღწერა და  
აქტუალურ კითხვებზე არგუმენტირებული პასუხების გაცემა, თუ როგორია საომარი  
მოქმედებების დინამიკა და რა სტრატეგიას მიმართავენ მხარეები.

აქვე წარმოდგენილია ერთგვარი ანალიზი იმისა, თუ რა ეტაპზეა დღეს  
რუსეთ-უკრაინის ომი, რამდენი ხანი შეიძლება გაგრძელდეს იგი, ომის წარმოების  
საშუალებების მოპოვების რა რესურსები აქვთ მხარეებს, რატომ ფერხდება  
დასავლეთის დახმარება და რას უნდა მოველოდეთ მომავალში.

### **როგორი იყო ომის პირველი ორი ეტაპი?**

2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ რუსეთს ბევრჯერ მოუწია საკუთარი  
გეგმების შეცვლა და საკუთარ განზრახვებზე უარის თქმაც.

თავდაპირველად, რუსეთს ჩაეშალა ქ. კიევის აღებისა და უკრაინის  
დენაციფიკაციის გეგმა, რითაც დასრულდა ომის პირველი ფაზა.

ასევე, 2022 წლის 9 ნოემბერს მოუწია ჯარის გაყვანა (BBC News , 2022) მდ.  
დნეპრის მარჯვენა სანაპიროდან – ანექსირებული და რუსეთის კონსტიტუციაში  
ჩაწერილი (Государственная Дума, 1993) ხერსონის ტერიტორიებიდან, რითაც  
გამოირიცხა ომის მეორე ფაზის მისი მიზნების (Teslova, 2022) მიღწევა.

იმის გათვალისწინებით, რომ დროთა განმავლობაში რუსეთის დასუსტებისა  
და უკრაინის თანდათანობითი გაძლიერების შედეგად შესაძლებელი გახდა  
უკრაინის მხრიდან კონტრშეტევის მომზადება, რუსეთმა შეიცვალა სტრატეგია: თუ  
აქამდე სწრაფ მოქმედებებზე ჰქონდა გათვლა, ამჯერად პირიქით, იმედი დაამყარა  
ომის დიდი ხნით განელვაზე. შესაბამისად, მისმა ახალმა ნაბიჯებმა ომი ახალ,  
მესამე ფაზაში გადაიყვანა.

### **როგორია მიმდინარე მე-3 ფაზის დინამიკა?**

დროის მოგებაზე გათვლილი (ჟვანია, 2023) სტრატეგიის მიხედვით,  
განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო თავდაცვითი სისტემების შექმნას. შესა-  
ბამისად, ფრონტის ხაზის გასწვრივ რუსეთმა შექმნა მრავალშრიანი, მძლავრი  
თავდაცვითი ზღუდე ტრანშეების, ტანკსაწინააღმდეგო თხრილების, მჭიდროდ  
დანაღმული ველების, მონოლითური რკინა-ბეტონის დოტებისა და სხვა საინჟინრო  
საშუალებების სახით – ე.წ. სუროვიკინის ხაზი.

2023 წლის 6 ივნისს კახოვკის კაშხლის აფეთქების (პერტაია, 2023) მიზანიც, სავარაუდოდ, კონტრშეტევის შეკავება იყო, რომელიც იმ დროს, როგორც მოსალოდნელიც იყო, წამოიწყო (Bailey; Stepanenko; Hird; Wolkov; Kagan, 2023) უკრაინამ.

რუსეთის მხრიდან შეტანილი ცვლილებების საპასუხოდ უკრაინამაც შეცვალა ბრძოლის ტაქტიკა. ეს აუცილებელი გახდა, რადგან უკრაინის შეტევითი მოქმედებები ვერ გადაიზარდა ფართომასშტაბიან კონტრშეტევაში, თან შეტევისას მოსალოდნელი იყო, რომ 3-5-ჯერ მეტ დანაკარგს მიიღებდა, ვიდრე მანამდე ჰქონდა.

საოკუპაციო ძალა, რომელიც მუდმივად ცდილობს ადაპტირებას, ყოველი უკან დახევისას ახალ-ახალ დაცვის ხაზს აგებდა და თავს აფარებდა.

2023 წლის შუა ოქტომბრამდე უკრაინის შეტევითი ოპერაციები სპეციფიკური ხასიათისა იყო. მოხერხდა მოწინააღმდეგესთან შეხების ხაზიდან დაახლოებით 20 კილომეტრის სიღრმის მქონე ეფექტური საცეცხლე ზონების შექმნა, სადაც რუსები ვერ აჩერებდნენ საკუთარ სამხედრო ტექნიკას. ასეთ ზონებში უკრაინელები ცდილობდნენ მოწინააღმდეგე იერიშზე გადაეყვანათ და ასე გაენადგურებინათ. ხოლო მაშინ, როცა რუსებს ამ ზონების მიღმა გაჰყავდათ ტექნიკა, უკრაინელები 100-200 მეტრით წინ მიიწევდნენ.

ამრიგად, ძალიან შენელდა ტერიტორიების განთავისუფლების ტემპი, მაგრამ იმდენად შემცირდა უკრაინელთა დანაკარგიც, რომ დაცვაში მყოფი საოკუპაციო ძალების დანაკარგს (Ivshina, 2023) არ აჭარბებდა და ფრონტზე ჯერ კიდევ ინარჩუნებდა სტრატეგიულ ინიციატივას (Dress, 2023).

უკრაინელთა წარმატებაზე მეტყველებდა გარკვეული დასახლებული პუნქტების განთავისუფლება, მთავარ თავდაცვით ხაზთან მათი მიახლოება და ზოგან გადალახვა (Абишев, 2023). განთავისუფლდა დასახლებები – რობოტინო, სტარომაიორსკი, პიატიხატკი.

ქ. ბახმუტის მისადგომებთანაც შეიმჩნეოდა უკრაინელების წინსვლა, სადაც რუსეთის არმიამ დაკარგა მნიშვნელოვანი ბრძოლისუნარიანი ქვედანაყოფები (Денисюк, 2023).

2023 წლის 13 სექტემბერს, უკრაინის მხარის სარაკეტო დარტყმის შედეგად, მწყობრიდან გამოვიდა/განადგურდა რუსეთის წყალქვეშა ნავი «Ростов-на-Дону», დიდი სადესანტო გემები „Минск“-ი, «Цезарь Куников»-ი (2024 წ. 14 თებერვალს) და სხვა.

მთლიანობაში, რუსეთის ფლოტის ეფექტურობა მნიშვნელოვნად შემცირდა და მისი დაცვისთვის აუცილებელი გახდა სევასტოპოლიდან გემების გადაყვანა ფეოდოსიისა და ნოვოროსიისკის პორტში. გემების ნაწილის გადაყვანა იგეგმება საქართველოს – ოკუპირებული ოჩამჩირის პორტშიც (ტაბულა, 2023).

2023 წლის 16-17 ოქტომბერს უკრაინელებმა პირველად გამოიყენეს ATACMS ბალისტიკური კასეტური რაკეტა ლუგანსკსა და ბერდიანსკში სამხედრო აეროდრომების წინააღმდეგ, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს რუსეთის არმიას (Сердюк, 2023). სხვადასხვა მონაცემით, განადგურდა დაახლოებით 10

სამხედრო ვერტმფრენი და ამდენივე დაზიანდა. აღსანიშნავია, რომ თუ ATACMS-ები უკრაინას შესაბამისი რაოდენობით მიეწოდება, რუსეთი დამატებით ახალი გამოწვევის წინაშე დადგება (Сидоржевский, 2023), უშუალოდ ბრძოლის ველზეც და ზურგშიც.

ხერსონის ოლქში უკრაინის მოიერიშე ჯგუფები სისტემატურად გადადიან მდ. დნეპრის მარცხენა სანაპიროზე და ავიწროებენ რუსეთის ძალებს – მნიშვნელოვანი პლაცდარმის შექმნით მათ სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებენ (Bailey; Wolkov; Harward; Evans; Kagan, 2023).

რუსეთმა, საკუთარი მრავალშრიანი დაცვის სისტემის დახმარებით, უკრაინის კონტრშეტევის მოგერიების პირობებში მოახერხა ახალი ძალების მობილიზება მასშტაბური შეტევის განსახორციელებლად, ჯერ – 2023 წ. სექტემბერში ქ. კუპიანსკის მიმართულებაზე, რომლის მოგერიება უკრაინამ შეძლო სტრატეგიული რეზერვების გამოყენების გარეშე და შემდეგ, 2023 წლის 10 ოქტომბერს (Абихаев, 2023), დაიწყო იერიში ფლანგებიდან ქ. ავდეევკას ალყაში მოსაქცევად.

ქ. ავდეევკის მონაკვეთი უკრაინის კონტრშეტევის დაწყების შემდეგ პრაქტიკულად პირველი იყო, სადაც საბრძოლო ინიციატივა რუსეთმა ჩაიგდო ხელში და მის დასაცავად უკრაინას მოუწია ძალების გამოყვანა იმ ადგილიდან, რომელსაც ადრე თავად უტევდა. 2023 წლის დეკემბრის პირველი ნახევრიდან კი რუსეთმა ინიციატივა ფრონტის თითქმის ყველა მონაკვეთზე ჩაიგდო ხელში.

ქ. ავდეევკასთან არსებული ფრონტის საზი 2014 წლიდან დღემდე თითქმის არ შეცვლილა და ღრმად იყო შეჭრილი ქ. დონეცკის დაცვის არეალში. ეს იყო პლაცდარმი დონეცკის ოლქის დედაქალაქის (ქ. დონეცკი) განთავისუფლებისთვის, საშიშროება იყო მისი ლოჯისტიკისა და უსაფრთხოების სისტემისთვის.

შესაძლოა, ავდეევკის აღება რუსებს შედარებით ადვილი მოეჩვენათ, რადგან მის გარშემო არსებული ქვაბისებრი რკალის მთლიანად შესაკვრელად მოკლე მანძილი იყო. ამიტომ ჰქონდა ავდეევკაზე შეტევას თავდაპირველად უფრო უკრაინის კონტრშეტევისგან თავდაცვის ფუნქცია, პრინციპით – „საუკეთესო დაცვა არის შეტევა“.

2024 წლის 17 თებერვალს რუსეთმა აიღო ქ. ავდეევკა, თუმცა ეს იმდენად ძვირი დაუჯდა, რომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკრაინელთა მიზანი-მინიმუმიც შესრულდა. გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს შეფასებით, რუსეთმა დაკარგა არანაკლებ 400 ტანკი, ჯავშანტექნიკა და, სავარაუდოდ, 30 000 ჰერსონალი (Rommen, 2024).

2023 წლის ნოემბერში რუსეთის დანაკარგებმა დღეში, საშუალოდ, 931 ადამიანი შეადგინა, რაც უფრო მეტია, ვიდრე ბახმუტის ბრძოლების დროს (რადიო თავისუფლება, 2023).

ამჟამად, ავდეევკის დატოვებისა და იარაღის დეფიციტის ფონზე, უკრაინა როგორც სიტუაციაშია, თუმცა მთლიანად მდგომარეობა კონტროლს ექვემდებარება.

ადრე თუ მხოლოდ რუსეთი იყო ორიენტირებული თავდასხმასა და ტერიტორიების დაპყრობაზე, დღეს უკრაინის მხრიდან კონტრშეტვის განმეორებაზეც ლაპარაკობს ქვეყნის უშიშროების ხელმძღვანელი (Гуца, 2024).

ომის ამჟამინდელი მესამე ფაზის თავისებურებიდან გამომდინარე, ბუნებრივად შეიქმნა ვითარება, რომლისთვისაც ახალ ტერიტორიებზე კონტროლის დამყარებაზე უფრო პრიორიტეტული გახდა მტრის, ეკონომიკისა და ომის წარმოების რესურსების განადგურება, გამოფიტვა, რაც შეიძლება მარტივი და იაფი საშუალებებით, როგორცაა დრონები, დივერსიული ჯგუფები და სხვა.

### **რა გათვლები და სტრატეგია შეიძლება ჰქონდეთ მოწინააღმდეგე მხარეებს ომის მესამე ფაზაში?**

მეტ-ნაკლებად გასაგები გახდა, თუ როგორ აპირებს რუსეთი ომში გამარჯვებას. ის ცდილობს მოიგოს დრო იმისათვის, რომ მიაღწიოს უკრაინის გარშემო შეკრული კოალიციის დაშლას, დასავლური დახმარებების შესუსტებას და თავად უკრაინაში შიდა უთანხმოებებით გამოწვეულ არეულობებსა და წინააღმდეგობის შეწყვეტას, რაც საბოლოოდ მიიყვანს მოლაპარაკებებამდე და უკრაინისგან გარკვეულ დათმობებს მიიღებს.

დასავლეთის კოალიციის მიმართ იმედგაცრუება და ფრონტზე თუნდაც მცირე ტერიტორიული დანაკარგების ვიზუალიზაცია მთავარი ფაქტორია უკრაინის საზოგადოებაში განხეთქილებებისთვის და, საბოლოოდ, წინააღმდეგობის შესასუსტებლად.

სწორედ ამ ვიზუალური და ხელშესახები ფაქტორების პრაქტიკული ამოქმედებისთვისაა რუსეთის იერიშები ფრონტის ხაზზე, პრინციპით – „იერიშები ნებისმიერ ფასად“ (Коваленко, 2023), რასაც მათთვის უდიდესი დანაკარგები მოაქვს. ამავე მიზნებს ემსახურება პუბლიკაციები და სხვადასხვა სახის პიარკამპანია, მესიჯ-ბოქსებით, რომ უკრაინის მთავრობას უბიძგებენ რუსეთთან დათმოს, დასავლეთი გადაიღალა დახმარებებით, რუსეთის დამარცხება დასავლეთისთვის არახელსაყრელია, ზელენსკიმ გასწირა საკუთარი მოსახლეობა და ა.შ.

რაც შეეხება უკრაინის მხარეს, მისი გამარჯვებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის მთავარია არ შეწყვიტოს რუსეთისთვის ზიანის მიყენება. მან შეიძლება კიდევ მრავალ დასახლებულ პუნქტზე დაკარგოს კონტროლი, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, უკრაინის საკითხი რუსეთის მთავარ „თავის ტკივილად“ უნდა დარჩეს მანამ, სანამ რუსეთი სრულად არ დატოვებს მის ტერიტორიებს. ასეთ შემთხვევაში, ადრე თუ გვიან რუსეთს მაინც მოუწევს უკან დახევა, როგორც მოხდა, მაგალითად, 1979-1989 წწ. ავღანეთში, საბჭოთა კავშირის ინტერვენციის დროს.

## **რა ვადებში შეიძლება დასრულდეს ომი?**

ომის დასრულების ვადა, პირველ რიგში, დამოკიდებულია უკრაინის საზოგადოების კონსოლიდაციისა და პარტნიორების მხარდაჭერის მასშტაბებზე.

ომის პირველი და მეორე ფაზა დასრულდა იმ ვადებში, როცა მოსალოდნელი იყო ზოგადად შედეგების მიღება, მაშინდელი სამხედრო დაპირისპირების ხასიათიდან გამომდინარე. იმ დროს რუსეთი წარმატების საწინდრად მიიჩნევდა ელვისებრი მოქმედებით უკრაინის ტერიტორიაზე შეჭრას და მოსახლეობის მოუმზადებლობას. შესაბამისად, შედეგიც მალე მიიღო, რაც გამოვლინდა საოკუპაციო ძალების უკან დახევით.

მეორე ფაზის მიზნების განხორციელება, რაც გულისხმობდა (MIND, 2022) ხერსონის ოლქიდან დნესტრისპირეთამდე შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაკავებას, უნდა მომხდარიყო უახლოესი თვეებში და შესაბამისად, ამავე ვადებშიც გაირკვა საბოლოო შედეგიც და ისევ რუსეთს მოუწია უკან დახევა.

ამჟამად მნიშვნელოვანია დიდხნიანი გამძლეობა და მედეგობა. ვინც უფრო მეტ დროს გაძლებს და ამ დროში მეტ რესურსს (ომის წარმოების საშუალებას) მოიპოვებს და შეინარჩუნებს, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, მოწინააღმდეგეს გაუნადგურებს, ის გაიმარჯვებს.

ასეთი დაპირისპირების შესაბამისი ტაქტიკა ბუნებრივად მოითხოვს დროის ხანგრძლივ პერიოდზე დამოკიდებული ამოცანების შესრულებას, შესაბამისად, საბოლოო შედეგებზე შეიძლება წლების შემდეგ მივიღოთ.

ომის მესამე ფაზის დასრულება შეიძლება არ ნიშნავდეს ომის საბოლოო დასრულებასაც. წინ არის ყირიმის ნახევარკუნძული, რომლის დაბრუნება რთულია დეოკუპაციის იმავე ტალღით, რომლითაც უკრაინის კონტინენტური ნაწილი განთავისუფლდება, რადგან იქ დიდი კონცენტრაციის ჯარის გადასასვლელი ბუნებრივადაც შეზღუდულია, რომ არაფერი ვთქვათ იმ დაბრკოლებებზე, რაც იქ წინასწარაა მომზადებული.

ამასთან, არ გამოირიცხება ომის ესკალაცია კიდევ უფრო დიდი მასშტაბებით, თუმცა ამაზე მსჯელობა ახლა არ არის ჩვენი მიზანი.

## **ბრძოლა რესურსებისა და საბრძოლო პოტენციალის გაუმჯობესებისათვის**

2023 წლის მე-4 კვარტალში შესამჩნევი გახდა უკრაინელთა უპირატესობა საარტილერიო ქურვების გამოყენებაში (რუსეთი დღეში 7000 ქურვს ისროდა, უკრაინა კი – 9000-ს) (Лазар, 2023). თუმცა ამ დანაკლისის საკომპენსაციოდ რუსები მაღალი ინტენსივობით იყენებდნენ 500-1500 კგ-იან საავიაციო ბომბებს (ФАБ-500 - ФАБ-1500). მასზე სპეციალური ფრთები დააყენეს, რამაც შესაძლებელი გახადა მისი გაშვება უკრაინელთა პოზიციებზე 60 კმ.-ის სიშორისა და 12 კმ.-ის სიმაღლიდან (Грин, 2023).



რესურსების მოპოვებისთვის კონკურენციის გრძელვადიან გეგმებზე მიუთითებს ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებებიც: 2024 წელს რუსეთის ბიუჯეტი ითვალისწინებს სამხედრო საჭიროებებზე ხარჯების მასშტაბურ ზრდას, რაც მშპ-ის 6% შეადგენს (Bloomberg, 2023) და გასაიდუმლოებული ხარჯების ოდენობა მიაღწევს მთლიანი საბიუჯეტო ხარჯების 30%-ს. ამავდროულად შემცირდება და სამხედრო დანახარჯებზე ბევრად ნაკლები გახდება სოციალური დანახარჯები, მიუხედავად იმისა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებისთვისაც ემზადებიან.

რუსეთის მხარეს საბრძოლო მოქმედებებში გამორჩნდა Tornado-S-ის ტიპის ახალი რაკეტები, დამიზნების უფრო დახვეწილი სისტემით. ეს სისტემა თითქმის იმავე სიზუსტით აღწევს მიზანს 90-100 კმ-ის მანძილზე, როგორც აქამდე უკრაინელებს ჰქონდათ რუსების წინააღმდეგ. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ რაკეტების პირველად გამოჩენიდან დღემდე მათი გამოყენების ინტენსივობა საკმაოდ დაბალია.

აღსანიშნავია, რომ უკრაინისთვის ჯერ კიდევ არ მიუწოდებიათ მთლიანად დაპირებული სამხედრო საშუალება, თუმცა, რაც ხელთ ჰქონდა, საკმარისი აღმოჩნდა რუსეთის ძალის დასაბალანსებლად, კერძოდ, რუსეთის ავიაცია ვერ უახლოვდება უკრაინის კონტროლირებად ტერიტორიას, უკრაინის ცა ნაწილობრივ დახურულია და დაცულია სარაკეტო თავდასხმებისგან, რუსეთის შავი ზღვის ფლოტი თავად არის საფრთხის წინაშე და ვერ აფრხებს უკრაინულ სავაჭრო გემებს, ცოცხალი ძალის რაოდენობრივი უპირატესობა ვერ უზრუნველყოფს შესაბამის უპირატესობას ხმელეთზე და თავდაპირველად ოკუპირებული ტერიტორიების თითქმის ნახევარი უკრაინამ უკვე გაათავისუფლა.

მარაგების დაზოგვის, დაგროვების და მტრისთვის მეტი ზიანის მიყენებისთვის ამჟამად უკრაინა აშენებს მრავალზრიან, მძლავრ თავდაცვით სისტემას ტრანშეების, თხრილების, სანგრების, სარეზერვო პოზიციებისა და მინისქვეშა სამეთაურო პუნქტების სახით. ის მთლიან ფრონტის ხაზს მოიცავს და გადის ქ. ავდევეკასთან (Barnes, 2024).

2024 წლის უკრაინის ბიუჯეტში სამხედრო საჭიროებებისათვის გათვალისწინებულია 42 მილიარდი დოლარი, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ქვეყნის ისტორიაში და შეადგენს მშპ-ის 20.4%-ს.

უკრაინამ დაიწყო ნატოს სტანდარტის 155 მმ. კალიბრის საკუთარი საარტილერიო სისტემის – „ბოგდანას“ წარმოება. 150-ჯერ (Pshemyska, 2023) გაზარდა უპილოტო დრონების წარმოება, რაც წელიწადში ერთ მილიონს (Eruygur, 2023) აღწევს და ქმნის შეიარაღებული ძალების ახალ სახეობას – უპილოტო სისტემების ძალებს (Прасад, 2024), რაშიც რუსეთთან შედარებით აშკარა უპირატესობა აქვს.

ამავე დროს მიმდინარეობს სხვა შესაძლებლობების მოძიება იარაღის საწყობების, სანარმოების, ძვირადღირებული ტექნიკისა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების გასანადგურებლად. ამას ადასტურებს ბოლო დროს გახშირებული თავდასხმა რუსეთის სამხედრო-სამრეწველო ქარხნებზე, ნავთობბაზებზე, სტრატეგიული მნიშვნელობის თვითმფრინავებზე და ა. შ.

რადგან ამჟამად ომი ისეთ ფაზაშია, როდესაც წარმატების მთავარი ფაქტორი მხარეების სამხედრო და ეკონომიკური გაძლიერების/განვითარების შესაძლებლობებში მდგომარეობს, ეს ისევ უკრაინის გამარჯვებისა და რუსეთის დამარცხების ძლიერ საფუძველს გვადლევს. ომის პირველ და მეორე ფაზაშიც გვექონდა უკრაინის გამარჯვების მოლოდინი, რაც სინამდვილეში რუსეთის უკან დახევით დასრულდა.

რუსეთს, უკრაინასთან შედარებით, შეზღუდული აქვს იმაზე მეტად გაძლიერება, ვიდრე ომის დაწყებამდე იყო. ამჟამად ქვეყანას საკუთარი პოტენციალი თითქმის მაქსიმუმამდე აქვს განვითარებული (The Bell, 2023), ის ქვეყნები კი, რომელთა დახმარებითაც ცდილობს ომის გაგრძელებას, მასზე სუსტები არიან, იგულისხმება ჩრდილოეთი კორეა, ბელარუსი, ირანი. ჩინეთი კი თავშეკავებით გამოირჩევა.

დღეს რუსეთი ორჯერ მეტ სარაკეტო სისტემასა და ქურვებს აწარმოებს, ვიდრე 2022 წლამდე. მას შეუძლია წელიწადში 200 ახალი ტანკი და ორ მილიონამდე საარტილერიო ქურვი გამოუშვას, თუმცა დანაკარგები იმდენად დიდი აქვს, რომ ძველი მარაგებიდან რაოდენობის ზრდის ხარჯზე ინარჩუნებს ომის წარმოების უნარს, უკრაინა კი ამ დროს უფრო აუმჯობესებს ხარისხს და დასავლეთიდან მხოლოდ რაოდენობის ზრდას ელოდება.

უკრაინის ტერიტორიაზე არსებობს საბჭოთა კავშირის დროინდელი მრავალი ობიექტი, სადაც, მინისქვეშა დაცულ ტერიტორიებზე შესაძლებელია დიდი საწარმოების განთავსება.

მიმდინარეობს აქტიური მუშაობა იარაღის მსოფლიო მწარმოებლებთან (Ukrinform. 2023) – გერმანიასთან, საფრანგეთთან, აშშ-სთან, თურქეთთან. ამ ქვეყნების ნაწილი ემზადება უკრაინაში სხვადასხვა ტიპის იარაღის საწარმოების გასახსნელად.

უკრაინას შეუძლია სწრაფად აითვისოს დიდი რაოდენობის თანამედროვე სამხედრო შეიარაღება, ტექნოლოგიურად გარდაქმნას საკუთარი სამხედრო ინდუსტრია (THE WHITE HOUSE, 2023) და გააგრძელოს ხანგრძლივი საყოველთაო წინააღმდეგობა საბოლოო გამარჯვებამდე, რასაც ადასტურებს უკრაინის სოციოლოგიური კვლევებიც (Hrushetskyi, 2024).

## **დაეხმარება თუ არა დასავლეთი უკრაინას?**

შეიძლება ცალკე ვრცელი სტატია მიეძღვნას საკითხს, თუ რატომ იკავებს თავს დასავლეთი ან/და ვერ ახერხებს დღესვე სრულმასშტაბიანი დახმარების განვას, რაც უზრუნველყოფდა უკრაინის სწრაფ გამარჯვებას, მიუხედავად იმისა, რომ, მრავალი მოსაზრებით, ასეთ შემთხვევაში რუსეთს გამარჯვების არანაირი შანსი აღარ დარჩებოდა.

უკრაინის გულშემატკივრები ყოველთვის გამოხატავდნენ უკმაყოფილებას დახმარების გამოყოფის თაობაზე, თუმცა ეს დახმარებები საკმარისი აღმოჩნდა ომის პირველ ორივე ფაზაში რუსეთის დასამარცხებლად და გვჯერა, რომ ასე იქნება ამჟამინდელ მესამე ფაზაშიც.

საკითხთან დაკავშირებული მთავარი პრობლემა გამომდინარეობს იქიდან, რომ სსრკ-ის დაშლის შემდეგ ევროპის პოლიტიკა მკაცრად მიჰყვებოდა მშვიდობის შენარჩუნებისა და მშვიდობის მშენებლობის დღის წესრიგს და შესაბამისად, არ ითვალისწინებდა დიდი სამხედრო მარაგებისა და სანარმოო სიმძლავრეების შექმნას. მისი უსაფრთხოება იდგა ნატოს სისტემაზე და ამავე დროს თავად ნატოც მსოფლიო მშვიდობისა და უსაფრთხოების საქმეში მთავარ პარტნიორად ისევ რუსეთს მიიჩნევდა (North Atlantic Treaty Organization, 2009).

ამ ყველაფრის გამო იყო, რომ დასავლური სამყარო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ (Charap, 2010) მხოლოდ გაფრთხილებითა (რეალურად სიფრთხილით) და „გადატვირთვის პოლიტიკით“ (რეალურად არ გალიზიანებით) შემოიფარგლა და გარკვეული სანქციების დაწესებით დაკმაყოფილდა 2014 წელს ყირიმის ანექსიის შემდეგაც (Krauthammer, 2014). მხოლოდ 2022 წელს მიხვდა ყველა, რომ საქმე ჰქონდათ დასავლური ცივილიზაციის ნამდვილ მტერთან.

დღეს უკვე მრავალი რამ მიუთითებს დასავლური სამყაროს საბოლოო გადაწყვეტილებაზე, რომ ომი უნდა დამთავრდეს უკრაინის გამარჯვებით და რუსეთის კაპიტულაციით. ისინი ხვდებიან, რომ სხვა სახის ნებისმიერი ზავი და შეთანხმება უფრო დიდ ომამდე მიგვიყვანს.

სწორედ ამას ნიშნავს გერმანიის კანცლერის სიტყვები, როცა მოგვიწოდებს მოჩვენებითი მშვიდობის მიმართ სიფრთხილისკენ (Borysenko, 2023). მან ასევე თქვა, რომ უკრაინის მხარდაჭერას ევროპისთვის ეგზისტენციალური მნიშვნელობა აქვს (Barron's, 2023), რადგან არავის სურს იმის წარმოდგენაც კი, რა შედეგები მოჰყვება პუტინის გამარჯვებას.

დასავლურმა სამყარომ რუბიკონი გადალახა და უკან დასახევი გზა არ დაიტოვა, როდესაც ერთობლივად გადაწყვიტეს რუსეთის ეკონომიკური იზოლაცია, მისი SWIFT-დან (Радио Свобода, 2023) გათიშვა და უკრაინისთვის ისეთი შეიარაღების მიწოდება, როგორცაა ტანკი leopard 2, სარაკეტო სისტემა Patriot-ი (Horton, Ahmedzade, 2023), თვითმფრინავები F-16 (Radio Free Europe, 2023) და სხვა.

დღეს უკვე თავად ევროპა გამოდის რუსეთის დასამარცხებელი შესაბამისი ინიციატივებით, რადგან ფიქრობენ, რომ რუსეთი, გამარჯვების შემთხვევაში, კიდევ უფრო მეტად აგრესიულ პოლიტიკას მიმართავს დასავლეთის წინააღმდეგ და ეს მუდმივ ხასიათს მიიღებს (Kagan, Stepanenko, Belcher, Mikkelsen, Bergeron, 2023). ამის შემდეგ რუსეთმა შეიძლება მსოფლიოს მრავალ რეგიონში აიღოს ხელში სამხედრო-პოლიტიკური სადავეები და შეარყიოს მმართველობის დასავლური, დემოკრატიული

სისტემა. შესაძლოა 20 მილიონამდე გაიზარდოს ევროპაში მიგრაცია, ნატოს წევრი სახელმწიფოები აღმოჩნდნენ მტრულად განწყობილი რუსეთის საზღვრის პირას (Semotiuk, 2024) და ა. შ.

ამრიგად, ევროპა იძულებულია გადავიდეს ომისთვის მზადების რეჟიმზე და დაეხმაროს უკრაინას, რადგან არავინ იცის, რა შეაჩერებს რუსეთს და რატომ არ გააგრძელებს საკუთარი ტერიტორიების გაფართოებას, თუ არ დამარცხდება უკრაინის ტერიტორიაზე!

## დასკვნა

ამრიგად, იმის გამო, რომ ომის პირველ და მეორე ფაზაში რუსეთის წარუმატებლობამ შესაძლებელი გახადა უკრაინის კონტრშეტევის მომზადება, რუსეთმა შეცვალა სტრატეგია – თუ აქამდე სწრაფ მოქმედებებზე ჰქონდა გათვლა, ახლა, პირიქით, ომის განვლვაზე გადავიდა.

უკრაინის 2023 წლის კონტრშეტევამ სპეციფიკური ხასიათი მიიღო და ტერიტორიების არც ისე დიდი ნაწილი გაათავისუფლა, მაგრამ დანაკარგიც იმდენად შეუმცირდა, რომ დაცვაში მყოფი საოკუპაციო ძალების დანაკარგს არ აჭარბებდა და ფრონტზე დიდხანს ინარჩუნებდა სტრატეგიულ ინიციატივას.

ფრონტის მრავალშრიანი დაცვის სისტემის დახმარებით რუსეთმა შეძლო ახალი ძალების მობილიზება მასშტაბური იერიშისთვის, ჯერ, 2023 წლის სექტემბერში – ქ. კუპიანსკის მიმართულებაზე, რაც წარუმატებელი იყო და შემდეგ, 2023 წლის ოქტომბერში – ქ. ავდეევკაზე, რომლის დაკავება უზარმაზარი ფასი დაუჯდა.

მთლიანობაში, ფრონტზე მდგომარეობა, იარაღის დეფიციტის ფონზე, უკრაინისთვის რთულია, მაგრამ სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება. ამ ეტაპზე, ტერიტორიებზე კონტროლის დამყარებაზე უფრო პრიორიტეტული გახდა რაც შეიძლება მარტივი და იაფი საშუალებებით მტრის ეკონომიკისა და ომის წარმოების რესურსების განადგურება, გამოფიტვა.

რუსეთი ცდილობს მიაღწიოს უკრაინის გარშემო შეკრული კოალიციის დაშლას, თავად უკრაინაში – შიდა უთანხმოებების საფუძველზე არეულობებსა და წინააღმდეგობის შეწყვეტას, რაც მოუტანდა მოლაპარაკებებსა და უკრაინის მხრიდან დათმობებს.

იმედგაცრეება და ფრონტზე თუნდაც მცირე ტერიტორიული დანაკარგების ვიზუალიზაცია მთავარი ფაქტორია უკრაინის საზოგადოებაში განხეთქილებების შესატანად. სწორედ ამ მიზნებს ემსახურება რუსეთის „იერიშები ნებისმიერ ფასად“, რასაც მათთვის უდიდესი დანაკარგები მოაქვს.

ამავდ მიზნებს ემსახურება ისეთი ნარატივის წახალისება/გავრცელება, რომელიც ამბობს, რომ უკრაინის მთავრობას უბიძგებენ რუსეთს დაუთმოს, დასავლეთი გადაიღალა დახმარებით, რუსეთის დამარცხება დასავლეთს არ აწყობს, ზელენსკიმ განირა საკუთარი მოსახლეობა და ა.შ.

რაც შეეხება უკრაინას, მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მთავარი შესაძლებლობაა რუსეთისთვის მუდმივად ზიანის მიყენება. უკრაინის საკითხი რუსეთის მთავარ „თავის ტკივილად“ უნდა დარჩეს და ადრე თუ გვიან მას მოუწევს უკრაინის ტერიტორიების დატოვება.

მაშინ, როცა ფრონტის ხაზი სტაბილურია და ყველაფერი გამძლეობასა და მედეგობაზეა დამოკიდებული, შესაბამისი ტაქტიკა ბუნებრივად მოითხოვს ხანგრძლივ პერიოდზე დამოკიდებული ამოცანების შესრულებას. შესაბამისად, საბოლოო შედეგებიც მხოლოდ წლების შემდეგ შეიძლება მოვილოთ. არც ომის უფრო მასშტაბური ესკალაცია და სხვა, ახალ ფაზაში გადასვლა გამოირიცხება.

რესურსების მოპოვებისთვის კონკურენციის გრძელვადიან გეგმებზე მიუთითებს რუსეთისა და უკრაინის საბიუჯეტო ხარჯვის გეგმები. მიმდინარეობს ახლებური საშუალებების მოძიება მტრის ლოჯისტიკის, საწარმოებისა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების გასანადგურებლად.

უკრაინასთან შედარებით, რუსეთის დანაკარგები იმდენად დიდია, რომ მისი შეიარაღებული ძალების ხარისხი ეცემა და ომის წარმოების უნარს მხოლოდ რაოდენობის ზრდის ხარჯზე ინარჩუნებს, უკრაინა კი ამასობაში უფრო აუმჯობესებს ხარისხს და დასავლეთიდან მხოლოდ რაოდენობის ზრდას ელოდება.

არავის ეპარება ეჭვი, რომ დასავლეთის მხრიდან სრულმასშტაბიანი დახმარების შემთხვევაში, რუსეთს გამარჯვების არანაირი შანსი არ აქვს და მთავარი პრობლემა გამომდინარეობს იქიდან, რომ ათწლეულების განმავლობაში ევროპის პოლიტიკა არ ითვალისწინებდა დიდი სამხედრო მარაგებისა და საწარმოო სიმძლავრეების შექმნას და უსაფრთხოების საქმეში მთავარ პარტნიორად ისევ რუსეთს მიიჩნევდა.

დღეს უკვე მრავალი ნიშანი მეტყველებს დასავლური სამყაროს საბოლოო გადაწყვეტილებაზე, რომ ომი უნდა დამთავრდეს უკრაინის გამარჯვებით და რუსეთის კაპიტულაციით. დასავლეთი ხვდება, რომ სხვა სახის ნებისმიერი ზავი და შეთანხმება კიდევ უფრო დიდ რისკებს გამოიწვევს.

შეიძლება ითქვას, რომ „რუბიკონი გადალახულია“ და ევროპა იძულებულია გადაერთოს ომისთვის მზადების რეჟიმზე და დაეხმაროს უკრაინას, რაც უკვე იღებს შეუქცევად ხასიათს.

## გამოყენებული ლიტერატურა

- პერტაია, ლუკა. 2023. „კახოვკის კატასტროფა: რა მოხდა, რატომ და რით დამთავრდება?“ რადიო თავისუფლება, ივნისი 06, 2023. <https://www.radiotavisupleba.ge/a/32447425.html>
- რადიო თავისუფლება. 2023. „ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვა: ნოემბერში რუსეთმა ომის მანძილზე ყველაზე მძიმე დანაკარგები განიცადა“. ნოემბერი 27, 2023. <https://www.radiotavisupleba.ge/a/32701507.html>
- ტაბულა. 2023. „უკრაინის დაზვერვა: რუსები ოჩამჩირეში აქტიურად მუშაობენ, პორტის ინფრასტრუქტურა აღადგინეს“. ოქტომბერი 24, 2023. <https://tabula.ge/ge/news/709171-ukrainis-dazverva-rusebi-ochamchireshi-aktiurad>
- ვვანია, მამუკა. 2023. „იგებს თუ არა უკრაინა ომს და რა გათვლა შეიძლება ჰქონდეს რუსეთს?“ რონდელის ფონდი, აპრილი 03, 2023. <https://gfsis.org.ge/ge/blog/view/1583>
- BBC News , 2022, “Kherson: Russia to withdraw troops from key Ukrainian city, 9 November 2022”, Last modified November 9 November 2022 <https://www.bbc.com/news/world-europe-63573387>
- Bailey, Riley; Stepanenko, Kateryna; Hird, Karolina; Wolkov, Nicole; Kagan, Frederick. 2023. “RUSSIAN OFFENSIVE CAMPAIGN ASSESSMENT, JULY 10, 2023.” Institute for the Study of War, Jul 10, 2023. <https://www.understandingwar.org/backgrounder/russian-offensive-campaign-assessment-july-10-2023>
- Bailey, Riley; Wolkov, Nicole; Harward, Christina; Evans, Angelica; Kagan Frederick. 2023. “RUSSIAN OFFENSIVE CAMPAIGN ASSESSMENT, NOVEMBER 17, 2023.” Institute for the Study of War, Nov 17, 2023. <https://www.understandingwar.org/backgrounder/russian-offensive-campaign-assessment-november-17-2023>
- Bloomberg, 2023. “Russia Plans Huge Defense Spending Hike in 2024 as War Drags.” Last modified September 22, 2023. <https://www.bloomberg.com/news/articles/2023-09-22/russia-plans-huge-defense-spending-hike-in-2024-as-war-drags-on?srnd=premium-europe>
- Barnes, Joe. 2024. “Ukraine digs its own Surovikin line against impending Russian offensive.” The Telegraph, January 20, 2024. <https://www.telegraph.co.uk/world-news/2024/01/20/ukraine-own-surovikin-line-active-defence-russia-offensive/>
- Borysenko, Ivan. 2023. “Scholz warns against ‘imaginary peace’ in Ukraine.” The New Voice of Ukraine, September 12, 2023. <https://english.nv.ua/nation/law-must-prevail-over-violence-olaf-scholz-50353040.html>
- Barron’s. 2023. “Ukraine Support Of ‘Existential Importance’ To Europe: Scholz.” Last modified November 28, 2023. <https://www.barrons.com/articles/ukraine-support-of-existential-importance-to-europe-scholz-51b6e0c7>
- Charap, Samuel. 2010. “A Year after the Reset: Achievements and Outlook in U.S.-Russia Relations.” April 21, 2010. Carnegie Endowment for International Peace. <https://carnegieendowment.org/2010/04/21/year-after-reset-achievements-and-outlook-in-u.s.-russia-relations-event-2899>
- Dress, Brad. 2023. “Clock ticks in Ukraine’s offensive as bad weather approaches.” The Hill, September 21, 2023. <https://thehill.com/policy/defense/4215092-clock-ticks-in-ukraines-offensive-as-bad-weather-approaches/>
- Eruygur, Burc. 2023. “Ukraine says all production capacities ready to produce 1 million drones in 2024.” Anadolu Agency, Update Decemer 21, 2023. <https://www.aa.com.tr/en/world/ukraine-says-all-production-capacities-ready-to-produce-1-million-drones-in-2024/3088151>

- FACT SHEET: The White House Announces New Actions to Strengthen Cooperation and Co-Production between U.S. and Ukraine's Defense Industrial Bases. DECEMBER 06, 2023. THE WHITE HOUSE. <https://www.whitehouse.gov/briefing-room/statements-releases/2023/12/06/fact-sheet-the-white-house-announces-new-actions-to-strengthen-cooperation-and-co-production-between-u-s-and-ukraines-defense-industrial-bases/>
- Founding Act on Mutual Relations, Cooperation and Security between NATO and the Russian Federation signed in Paris, France. Last updated: Octoube 12, 2009. North Atlantic Treaty Organization. [https://www.nato.int/cps/ru/natohq/official\\_texts\\_25468.htm?selectedLocale=en](https://www.nato.int/cps/ru/natohq/official_texts_25468.htm?selectedLocale=en)
- Hrushetskyi, Anton. 2024. "PERCEPTIONS OF THE COURSE OF RUSSIA'S WAR AGAINST UKRAINE AFTER NEARLY TWO YEARS OF LARGE-SCALE INVASION". KYIV INTERNATIONAL INSTITUTE of SOCIOLOGY, February 21, 2024. <https://kiis.com.ua/?lang=eng&cat=reports&id=1372&page=1>
- Horton, Jake; Ahmedzade, Tural. 2023. "Ukraine weapons: What tanks and other equipment are countries giving?" BBC News, December 28, 2023. <https://www.bbc.com/news/world-europe-62002218>
- Ivshina, Olga. 2023. "The Year of the 'Meatgrinder'. What we know about Russia's war losses in 2023." BBC NEWS RUSSIAN, December 27, 2023. <https://bbcrussian.substack.com/p/russian-war-losses-in-ukraine-2023>
- Krauthammer, Charles. 2014. "Opinion Obama's pathetic response to Putin's invasion of Crimea." The Washington Post, March 20, 2014. [https://www.washingtonpost.com/opinions/charles-krauthammer-obamas-pathetic-response-to-putin/2014/03/20/6ef35b9c-b065-11e3-95e8-39bef8e9a48b\\_story.html](https://www.washingtonpost.com/opinions/charles-krauthammer-obamas-pathetic-response-to-putin/2014/03/20/6ef35b9c-b065-11e3-95e8-39bef8e9a48b_story.html)
- Kagan, Frederick; Stepanenko, Kateryna; Belcher, Mitchell; Mikkelsen, Noel; Bergeron, Thomas. 2023. "The High Price of Losing Ukraine Military-Strategic and Financial Implications of Russian Victory." The Institute for the Study of War, December 14, 2023. <https://www.understandingwar.org/backgrounder/high-price-losing-ukraine>
- MIND, 2022. „The russian defense ministry named the goals of the second phase of the "special operation" in Ukraine.“ Last modified April 22, 2022. <https://mind.ua/en/news/20240166-the-russian-defense-ministry-named-the-goals-of-the-second-phase-of-the-special-operation-in-ukrai>
- Pshemyska, Anna. 2023. "Ukraine: Huge increase in drone production." Deutsche Welle, November 18, 2023. <https://www.dw.com/en/ukraine-huge-increase-in-drone-production/a-67476091>
- Rommen, Rebecca. 2024. "Counting the 'colossal' cost of capturing Avdiivka: Russia could have suffered 30,000 casualties and lost over 400 tanks, IFVs." Business Insider, February 18, 2024. <https://www.businessinsider.com/russia-lost-thousands-of-personnel-and-400-tanks-in-avdiivka-2024>
- Radio Free Europe/Radio Liberty. 2023. "Ukraine Awaits Delivery Of First F-16 Jets In Coming Days As Kyiv Seeks To Counter Russian Air Superiority." Last modified December 23, 2023. <https://www.rferl.org/a/ukraine-awaits-f-16s-kyiv-russia/32744692.html>
- Semotiuk, Andy. 2024. "Possible 20 Million Ukrainians Will Migrate If Putin Wins In Ukraine." Forbes, February 19, 2024. <https://www.forbes.com/sites/andyjsemotiuk/2024/02/19/possible-20-million-ukrainians-will-migrate-if-putin-wins-in-ukraine/?sh=7dd23d3ce75b5>
- Teslova, Elena. 2022. "2nd phase of Ukraine 'special military operation' has started: Russia." Anadolu Ajansi, 19.04.2022. <https://www.aa.com.tr/en/russia-ukraine-war/2nd-phase-of-ukraine-special-military-operation-has-started-russia/2567594>
- The Bell. 2023. "Central Bank warns Russian economy running on borrowed time." Last modified Decemer 16, 2023. <https://en.thebell.io/nabiullina-hikes-rates-to-16/>
- Ukrinform. 2023. "FM Kuleba: 59 companies from 23 countries join Defense Industries Alliance." Last modified Octyomber 17, 2023. <https://www.ukrinform.net/rubric-ato/3774963-fm-kuleba-59-companies-from-23-countries-join-defense-industries-alliance.html>

- Абишев, Илья. 2023. «Украинские войска прорвали первые позиции «линии Суровикина». Что это меняет на южном фронте.» BBC News Русская служба, Сентябрь 1, 2023. <https://www.bbc.com/russian/articles/c3gj6z16p2jo>
- Абишев, Илья. 2023. «Битва за Авдеевку: в чём смысл крупного российского наступления на пригород Донецка.» BBC News Русская служба, ноября 1, 2023. <https://www.bbc.com/russian/articles/ce7j7r9r21ko>
- Грин, Арти. 2023. «На фронте — разгар 12-го раунда перед гонгом. Пора ли менять стратегию? — Арти Грин.» Интервью с Людмилой Немирею. UKRLIFE.TV, October 24, 2023. Видео, 10:37-11:40. <https://www.youtube.com/watch?v=3lTJw74aarc>
- Гуца, Сергей. 2024. «Буданов заявил о планах нового контрнаступления ВСУ весной.» Deutsche Welle, Февраль 01, 2024. <https://www.dw.com/ru/budanov-zaavil-o-planah-novogo-kontrnastuplenia-vs-u-vesnoj-2024-goda/a-68139730>
- Денисюк, Василий. 2023. «Успехи ВСУ под Бахмутом и Работино: как в сентябре изменилась линия фронта.» 24 Канал, 1 октября 2023. [www.24tv.ua/ru/-2023\\_n2402876](http://www.24tv.ua/ru/-2023_n2402876)
- „Конституция Российской Федерации”, ГОСУДАРСТВЕННАЯ ДУМА, ФЕДЕРАЛЬНОГО СОБРАНИЯ РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ, n.d. 17/01/2024, <http://duma.gov.ru/legislative/documents/constitution/>
- Коваленко, Александр. 2023. «Основой стратегии главы Генштаба Герасимова стали принципы маршала Жукова.» Каспаров.Ru, Декабрь 04, 2023. <https://www.kasparov.ru/material.php?id=656D62971CC95>
- Лазур, Назарий. 2023. «Россия потеряла инициативу: ВСУ впервые с 24 февраля производят больше выстрелов из артиллерии в день.» 24 Канал, 14 октября 2023. [https://24tv.ua/ru/artillerijskie-vystrely-vs-u-vpervye-24022022-proizvodjat-bolshe\\_n2411614](https://24tv.ua/ru/artillerijskie-vystrely-vs-u-vpervye-24022022-proizvodjat-bolshe_n2411614)
- Прасад, Анита. 2024. «Силы беспилотных систем. Зеленский поручил создать новый род войск ВСУ.» Forbes, февраля 06, 2024. <https://forbes.ua/ru/news/sili-bezpilotnikh-sistem-zelenskiy-doruchiv-stvoriti-noviy-rid-viysk-zsu-06022024-19029>
- Радио Свобода. 2023. «Набиуллина: отключение от SWIFT и заморозка активов болезненны.» Радио Свобода, декабря 25, 2023. <https://www.svoboda.org/a/nabiullina-otklyuchenie-ot-swift-i-zamorozka-aktivov-boleznennoy/32746399.html>
- Сердюк, Катерина. 2023. «Атака ВСУ на аэродромы в Луганске и Бердянске: все, что известно.» ТСН, Октябрь 17, 2023. <https://tsn.ua/ru/ukrayina/ataka-vs-u-na-aerodromy-v-luganske-i-berdyanske-vse-chto-izvestno-2431504.html>
- Сидоржевский, Максим. 2023. «АТАСМС: что это за ракеты и как они повлияют на ход войны.» Deutsche Welle, Октябрь 19, 2023. <https://www.dw.com/ru/atacms-cto-eto-za-rakety-i-kak-oni-povliaut-na-hod-vojny/a-67149573>